საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030101212209319

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/1123** **24 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენს სოციალური დაცვის საერთაშორისო ასოციაციის (ISSA) სრულუფლებიან წევრს და საწევროს გადახდის მიზნით ესაჭიროება „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი)“ (პროგრამული კოდი: 27 01 04 01) პროგრამის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „გრანტების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ასევე, სააგენტო წარმოადგენს საპენსიო და სოციალური ფონდების საერთაშორისო ასოციაციის სრულუფლებიან წევრს და საწევროს გადახდის მიზნით ესაჭიროება „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი: 27 02 01) პროგრამის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „გრანტების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31- ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური